დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი

შეფასების თარიღ(ებ)ი
14-15 ივლისი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
03.08.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	**ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება**
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**220348657**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	❖
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	❖
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	❖
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქალაქი ზუგდიდი**
იურიდიული მისამართი	**ქ. ზუგდიდი, ლომოურის ქუჩა N32**
ფაქტობრივი მისამართი	**ქ. ზუგდიდი, ლომოურის ქუჩა N32**
საფოსტო ინდექსი	**2100**
დაწესებულების ვებ-გვერდი	**ecolepm.edu.ge**
დაწესებულების ელ-ფოსტა	**ecolepm@yahoo.fr, ecolepm@gmail.com**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**0415 220222**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**ეკა ფარცვანია**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**577629192**
ელ-ფოსტა	**Ekaparcvania12@gmail.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის 2022 წლის 9 ივნისის N620854 ბრძანების და 2022 წლის 7 ივლისის N775004 (2022 წლის 09 ივნისის N620854 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) ბრძანების საფუძველზე,
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	14-15 ივლისი, 2022.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბოტკოველი
წევრი (სახელი, გვარი)	მაკა ნადარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით			
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის –	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები			
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის საუკეთესო პრაქტიკაა ის შეკრული, მეგობრული გუნდი, რომელიც ერთობლივად, კონსტრუქციული თანამშრომლობით ეხმარება თითოეულ მოსწავლეს მრავალმხრივ განვითარებასა და წარმატების მიღწევაში. კოლეჯი 2002 წლიდან ფუნქციონირებს და მეორე უცხოურ ენად, მესამე კლასიდან მოსწავლეებს სთავაზობს ფრანგული ენის სწავლებას. ამ მიმართულებით სკოლას აქვს არაერთი მიღწევა და აღიარება. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეები წარმატებით აბარებენ ენის ფლობის დონის დამადასტურებელ საერთაშორისო გამოცდებს (A1; A2 და B1 –DELF/DALF) და ასევე 2012 წლიდან დღემდე, წარმატებით მონაწილეობენ უცხოური ენის (ფრანგული ენა) ეროვნულ ოლიმპიადებში, შედიან საუკეთესო ათეულებში, ხოლო თავად სკოლა ამ ოლიმპიადების პირველი ადგილის უცვლელი მფლობელია. სკოლის კურსდამთავრებულები სურვილისა და შესაძლებლობების მიხედვით სწავლას განაგრძობენ საფრანგეთში. აღსანიშნავია, რომ სკოლის ფრანგული ენის ერთ-ერთი მასწავლებელი, განათლების სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისა და მსოფლიოში ფრანგული კულტურის აქტიური პოპულარიზაციისათვის, დაჯილდოებულია საფრანგეთის სახელმწიფოს საპატიო ჯილდოთი - „აკადემიური პალმის ორდენი“. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს კურსდამთავრებულებთან, რისი საუკეთესო მაგალითია სკაუტ ბანაკი და სკაუტ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, რომელსაც სკოლაში ამავე სკოლის კურსდამთავრებული ახორციელებს. სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეძლება ჩაითვალოს პანდემიის პერიოდში ახალ რეალობასთან ადაპტაცია და დისტანციურ ფორმატზე გადასვლა. ამ პერიოდში, მასწვლებლებმა მოამზადეს და განახორციელეს არაერთი ონლაინ ღონისძიება, მათ შორის: ონლაინ ვებინარი - ბიომრავალფეროვნება, ჯანსაღი ცხოვრების წესი; ონლაინ კონფერენცია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაში; “დადიანები და გარესამყარო” ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების საგნებში; „დედამიწის დღე“, რომლის ფარგლებშიც ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაა ასევე სკოლაში არაფორმალური განათლების განვითარება და კლუბებში მოსწავლეთა ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: “ეკო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვივღ", რომლის მიზანიცაა მოსწავლეებს აუმაღლოს და განუვითაროს ეკოლოგიური ცნობიერება. "სალუ" სამოქალაქო განათლების მიმართულებით არსებული კლუბი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას. სკოლის მისიით გაცხადებულ მიზნებს ემსახურება ასევე ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად.

დაწესებულების მისია	**მისია** უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვან გარემოში, უზრუნველვყოთ მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება; ხელი შევუწყოთ პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი, ინტელექტუალურად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას და მოვამზადოთ ისინი აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის. **ძირითადი მიზნებია:** 1. უსაფრთხო და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა და მუდმივი სრულყოფა; 2. საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მუშაობის ინტეგრაცია და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ორგანიზება; 3. სასწავლო პროცესში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მდგრადი განვითარების პრინციპების ინტეგრირება. **სკოლის ხედვაა** შევქმნათ ინკლუზიური, მრავალფეროვანი და უსაფრთხო სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს სრულფასოვნად გამოავლინონ და განავითარონ საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობები, საგნობრივი კომპეტენციების დაუფლების გზით აიმაღლონ ინტელექტი, ჩამოუყალიბდეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პატრიოტულ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული დამოკიდებულებები და ჯანსაღი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**რეკომენდაციები არ გაცემულა**

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა:	**ექსპერტი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

180	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგულმა კოლეჯმა წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოადგენს ერთიან დოკუმენტს, შემუშავებულია 2020-2021 სასწავლო წლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით და მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა ძირითად საკითხს. კერძოდ, სკოლის მისიას და მისი მიღწევის სტრატეგიას, სწავლა-სწავლების მიზნებს, საგანმანათლებლო პრინციპებს და მეთოდურ ორიენტირებს, სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სასკოლო საათობრივი ბადეს, სადამრიგებლო პროგრამას, საგნობრივ კათედრებს, საგანმანათლებლო რესურსებს, არჩეულ გრიფმიჭებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სახელმძღვანელოებს, ინკლუზიურ განათლებას, მოსწავლის შეფასებას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეებს და შეფასების წესს, გაცდენებს, შინ სწავლებას, სავალდებულო საგნებს, არჩევით საგნებს, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალს, მისი საჭიროების დასაბუთებას და აღწერილობას, საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგსა და ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგს. სასკოლო **საათობრივ ბადეში** წარმოდგენილია როგორც სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. **სასწავლო წლის კალენდარი** ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სრულად ითვალისწინებს დადგენილ წესებს. **კალენდარში** განსაზღვრულია სასწავლო წლის დაწყება და დასრულების თარიღები, დასვენების დღეები და სასკოლო არდადეგები. **საგანმანათლებლო რესურსები** მოიცავს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით საგანმანათლებლო რესურსებსა და სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებას. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ერთვის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა და დამატებითი საგანმანათლებლო მასალის ჩამონათვალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კლასების, საგნების, ავტორებისა და გამომცემლობების მითითებით. **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი** სრულად ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლა იზიარებს **ინკლუზიური განათლებისადმი** საქართველოს განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. მას გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები და მიდგომები. სკოლამ 2021-2022 ს/წელს მოსწავლეებს ტრადიციულად შესთავაზა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანში - „ფრანგული ენა“ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, რომელიც სავალდებულო ხასიათისაა. კერძოდ, ფრანგული ენა III-XII კლასებში ჩათვლით ისწავლება გაძლიერებულად. დანართის სახით სასკოლო სასწავლო გეგმას ერთვის საგნის სწავლების მიზნები საფეხურების მიხედვით, სწავლების შედეგები და კომპეტენციები, შეფასების სისტემა და დამხმარე რესურსები. სკოლაში ფუნქციონირებს ორი კლუბი “ეკო-ვივღ” და სამოქალაქო კლუბი “Salut”, შემუშავებულია კლუბების ზოგადი დებულება, კლუბების მიზნები და ამოცანები, სამიზნე ჯგუფი, კლუბის წევრების ფუნქცია-მოვალეობები და ა.შ. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლამ I-VII კლასების მოსწავლეებს შესთავაზა სააღმზრდელო მომსახურება - დღის გახანგრძლივებული ჯგუფი, სადაც მოსწავლეები აღმზრდელ-მასწავლებლების ზედამხედველობით ასრულებენ საშინაო დავალებებს და ამზადებენ შემდეგი დღის გაკვეთილებს. **არჩევით საგნებად** შეთავაზებულია რუსული ენა X კლასში (შეიძლება ისწავლებოდეს ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ფილოლოგია და მითოლოგია XI კლასში, გარემო და მდგრადი განვითარება XII კლასი. XII კლასის მეორე სემესტრში არჩევითი საგნები არ ისწავლება. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს **სადამრიგებლო პროგრამის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს**, რომელთა საფუძველი არის სკოლის კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელიც არის ამავე სკოლის მასწავლებელი. დამრიგებლის ერთ-ერთი მოვალეობაა სადამრიგებლო საათის დაგეგმვა და ჩატარება, რომელიც იმართება სხვადსხვა ფორმით: საუბრები მოსწავლეებთან, დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ასევე **პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას**. პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში განიხილება შემდეგი თემატიკა: IX კლასი - თვითგანვითარება, ჩემი არჩევანი, მომავალი პროფესია, სწრაფვა წარმატებისკენ, CV-ის შედგენა, სამოტივაციო წერილის წერა და ა.შ. XI კლასი - ჩემი ინტერესები, ჩემი მომავალი პროფესია. აღსანიშნავია, რომ პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში განხილული თემატიკა ძალიან საინტერესოა მოსწავლეებისთვის, რაც მათთან ინტერვიუირების პროცესში ნათლად გამოიკვეთა. აქვე უნდა ითქვას, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტზე მუშაობის პროცესი, რომელშიც ჩართულნი იყვენენ სკოლის ყველა სტრუქტურის წამომადგენლები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დადგინდა, რომ სკოლა ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავს საათობრივი ბადის მესამე მოდელის აღებას. **ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სამივე საფეხურზე, შესაბამისად წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპები. მისიით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, დაგეგმილი აქტივობებით, სკოლა ხელს უწყობს მოზარდებში სხვადასხვა უნარისა და ღირებულების განვითარებას, მათ შორის: • ინდივიდუალური, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენა-განვითარებას. • სამოქალაქო და სამართლებრივ აღზრდას, პატრიოტული და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას. • სოციალური უნარების, ეფექტური კომუნიკაციის, კონფლიქტების მართვისა და კულტურათა შორის დიალოგის განვითარებას. • ეთიკური ნორმების დაცვას, ემპათიას, განსხვავებულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიმღებლობას; პრობლემების გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას. • წიგნიერებას, ციფრულ წიგნიერებას, სასწავლო პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას. • მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი პრინციპებისა და მეწარმეობის საფუძვლების უნარების განვითარებას. • სწავლის სწავლას, დამოუკიდებლად საქმიანობას. სკოლა ორიენტირებულია საერთო, თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, ამიტომ სასკოლო საზოგადოების ძირითადი პრიორიტეტებია: ა) გარემოს დაცვა; ბ) ჯანსაღი ცხოვრება; გ) სამოქალაქო უსაფრთხოება; დ) კონფლიქტების მართვა; ე) ადამიანის უფლებები. სწორედ ზემოხსენებულ მიზნებს ემსახურება სკოლაში არსებული კლუბები: “ეკო ვივღ”, რომლის მიზანიცაა მოსწავლეებს აუმაღლოს და განუვითაროს ეკოლოგიური ცნობიერება. “სალუ” სამოქალაქო განათლების მიმართულებით არსებული კლუბი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას. ბიომრავალფეროვნების კვირეულის ფარგლებში, სკოლაში ჩატარდა სემინარი, სახელწოდებით: ,,ბიომრავალფეროვნება და წითელი წიგნი". პროექტის მიზანი იყო, მოსწავლეებში ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობადობის ამაღლება და გაცნობიერება იმისა, თუ რა საფრთხეების წინაშეა დღეს დედამიწის ეკოსისტემები, სკოლის ეკო კლუბის წევრებმა, ჩაატარეს ტრენინგი, სათაურით: ,,კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები". "ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის 2021"-ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნახევარ ფინალში ქართულ ფრანგული კოლეჯის ეკო კლების წევრებმა წარმატებით წარადგინეს პრეზენტაცია მთელი წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებზე და უმაღლესი ქულებით მოიპოვეს ფინალური საგზური. მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებას არის მორგებული ის სასწავლო პროექტებიც, რომლებსაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო წლის განმავლობაში. 2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია: "ახალგაზრდები მდგრადი განვითარებისთვის", რომელიც მიმდინარე პროექტია და მისი განხორციელების ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებელს მიზნად აქვთ დასახული სკოლის წინ ველო სადგომის მოწყობა. განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია, დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ხელოვნებაში. ასევე საინტერესოა ქართული ენისა და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებული პროექტი "ქართული დამწერლობა". სკოლის ვებგვერდის რუბრიკაში - "მიღწევები" და ასევე მასწავლებელთა პორტფოლიოებში განთავსებული მასალა, მოწმობს სკოლის მრავალმხრივ ჩართულობასა და გამარჯვებას სხვადასხვა ოლიმპიადებსა და კონკურსებში. მათ შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია 2016 წლიდან მოყოლებული 2021 წლის ჩათვლით აღებული პირველი ადგილი ეროვნული ოლიმპიადაზე უცხოურ ენაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სკაუტურ მოძრაობაში. სკოლას ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული საქართველოს სკაუტური მოძრაობის სამეგრელოს ორგანიზაციასთან, რომელსაც ამავე სკოლის კურსდამთავრებული ხელმძღვანელობს. თანამშრომლობის მიზანია არაფორმალური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. მემორანდუმის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ვორქშოფი ,,ლაშქრობის დაგეგმვა და სალაშქრო ინვენტარის გამოყენება". ექსპერტთა ვიზიტის დროს, მოსწავლეებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იმყოფებოდნენ სკაუტ ბანაკში. როგორც უკვე აღინიშნა, პროექტს სკოლაში ხელმძღვანელობს ამავე სკოლის კურსდამთავრებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობის ფაქტორი სკოლასა და კურსდამთავრებულებს შორის. რაც ამ სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე საინტერესოა მასწავლებლების პროექტი “ზღაპარი, ამბავი თქვენ”, რომლის ფარგლებშიც, ხელოვნების მასწავლებლის ინიციატივით, პანდემიის დაწყებისას, მასწავლებლებმა ჩაწერეს: ვიდეო მიმართვები, ზღაპრები, ამბები და ლეგენდები და შესთავაზეს დისტანციურ რეჟიმში სკოლის მოსწავლეებს. აღნიშნულმა ინიციატივამ მიიღო ფართო სახე და მასწავლებლებთან ერთად, პროექტში მონაწილეობა მიიღეს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმაც. **ამასთანავე აუცილებლად უნდა აღნიშნოს სკოლის აქტიური მუშაობა პანდემიის პერიოდში**. 2020 წელს, სასწავლო წლის ბოლოს სკოლამ ჩაატარა ონლაინ კონფერენცია რომელიც ორი ნაწილისგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შედგებოდა: I ნაწილი - "დადიანები და გარესამყარო" - კონფერენციის თემატიკა მოიცავდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების საგნების ინტეგრირებას (ქართული ლიტერატურა, ფრანგული ენა, ინგლისური ენა, რუსული ენა). II ნაწილი "ეს საინტერესოა", რომელიც ჩატარდა 11 ივნისს, აერთიანებდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულების საგნებს (მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია). კონფერენციის ფარგლებში მოსწავლეებმა წარადგინეს ნაშრომები, რასაც მოჰყვა განხილვა და დისკუსია. კონფერენციას ესწრებოდნენ მშობლები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საგნობრივი ექსპერტ კონსულტანტები, ახალი სკოლის მოდელის კურიკულუმის დანერგვისა და განვითარების ექსპერტი, სკოლის დირექტორები (ქალაქ ზუგდიდის N3 და N4 საჯარო სკოლა), ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს ემსახურება სკოლაში შექმნილი საგნობრივი კათედრები (6): ➢ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა; ➢ მათემატიკის კათედრა; ➢ უცხოური ენების კათედრა; ➢ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა; ➢ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა; ➢ ესთეტიკისა და სპორტის კათედრა. საგნობრივი კათედრები აერთიანებს სკოლაში მომუშავე ყველა მასწავლებელს. როგორც კათედრების, ასევე ცალკეული მასწავლებლების საქაღალდეებში წარმოდგენილია თემატური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გეგმები ან/და თემატური მატრიცები, თემატური მატრიცის ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის, სკოლის ვებგვერდის, მასწავლებელთა საქაღალდეების განხილვის, სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერვიურების შედეგებით დასტურდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, ღირებულებებისა და უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის ბრძანება კათედრების შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ 2020 წლის 23 დეკემბერი; • სკოლის ვებგვერდი; • ინტერვიუ მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ყველა ზემოხსენებული ღონისძიებებით და ჩატარებული აქტივობებით (1.2) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში იყენებს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, იცავს თანასწორუფლებიანობის პრინციპებს. სკოლაში სწავლა-სწავლების მთავარი მიზანია მოსწავლეს განუვითაროს ისეთი გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლებისადმი საქართველოს განათლების სისტემის მიდგომას და გააჩნია მისი განხორციელებისათვის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების პრინციპები, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები, ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რომელიც განაპირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უსაფრთხოებას. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას უფიქსირდებოდა ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. აღნიშნული მოსწავლისთვის მასწავლებლებს შექმნილი აქვთ დიფერენცირებული და საჭიროებებს მორგებული აქტივობები. მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობას ითვალისწინებს ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას. სკოლა, მოსწავლეებს საკუთარი ინტერესისა და შესაძლებლობების ფარგლებში სთავაზობს, სხვადასხვა თემატიკას: თვითგანვითარების დაგეგმვა, ჩემი არჩევანი, მომავალი პროფესია, სწრაფვა წარმატებისკენ. CV- რეზიუმეს შედგენა, სამოტივაციო წერილი და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სასკოლო სასწავლო გეგმის დანართები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოქმედი შეფასების წესი სრულად ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების მიზნით გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ათქულიანი და ხუთ დონიანია. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია ქულების გამოანგარიშების წესი, რომელიც ასევე ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლას განსაზღვრული აქვს გამოცდების ტიპები, რომლებიც შეიძლება ჩატარდეს: სემესტრული გამოცდა, საშემოდგომო გამოცდა, ექსტერნატის გამოცდა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ამ გამოცდების ჩატარების წესი და ვადები. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად I - IV კლასებსა და V კლასის I სემესტრში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების კომპონენტებია - საკლასო დავალება, საშინაო დავალება და შემაჯამებელი დავალება. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს სოლო ტაქსონომიის შეფასების ძირითადი პრინციპი, რომელიც დანართის სახით ახლავს სასკოლო სასწავლო გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ახლავს შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა საგნის კლასისა და სემესტრის მიხედვით, რომელიც ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეები ფასდებიან სხვადასხვა ფორმით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი ან სხვა ტიპის ნამუშევარი და სხვ. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ მან წინასწარ იცის, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. მოსწავლეთა შეფასების საფუძველზე, სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს დგება სკოლის საგნობრივი დინამიკა. საგნობრივი დინამიკის ანალიზით მიღებული შედეგი გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში, მოცემულია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და სკოლაში გამოცხადების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. აღნიშნული პუნქტის მიხედვით, კლასის დამრიგებელი, თვეში ერთხელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წამატების შესახებ და აწვდის მშობლებს სხვადასხვა ფორმით: სატელეფონო გასაუბრებით, ონლაინ ჩართვით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან/და ინდივიდუალური შეხვედრით. შეხვედრები და საუბრები ინდივიდუალურია. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები მშობლებისთვის, რაც კიდევ უფრო აადვილებს მათთან კომუნიკაციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი - ხარისხის მენეჯერი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, შეფასების სფეროები, მონაცემთა შეგროვების წყაროები, შემაჯამებელი ანგარიშების წარდგენის ფორმები. თვითშეფასების ფორმები. დოკუმენტს დანართის სახით ერთვის კითხვარები, რომლის საშულებითაც სკოლა აგროვებს მონაცემებს. კითხვარები განკუთვნილია: მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის. სასწავლო გეგმის გაუმჯობესების სტრატეგიები შემუშავებულია მონიტორინგის ჯგუფისა და კათედრების მიერ, რაც შემდგომში, განზოგადებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სახით, განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დირექტორთან ერთად. კოლეჯში წლის ბოლოს კეთდება „SWOT“ ანალიზი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის ბრძანება N02/98
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: საერთო მიწის ფართია1456.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა 496.37კვ.მ.	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მდებარეობს ქ. ზუგდიდში, ლომოურის ქ. 32. 496.37 კვ.მ. ორსართულიან შენობაში, ეზოთი. სკოლაში 13 საკლასო ოთახია, 1 ლაბორატორია, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 ბიბლიოთეკა, 1 სამზარეულო, 1 ისტის ოთახი.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზუგდიდი, ლმოურის ქ. 32
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N43.31.74.029
კვ.მ.	496.კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• საჯარო რეესტრის ამონაწერი; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • აზომვითი ნახაზები.
შეფასება	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ვიზუალური დათვალიერების და შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტაციის გაცნობის შედეგებზე დაყრდნობით დგინდება, რომ 13 საკლასო ოთახი აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სათანადო ინვენტარით, კერძოდ: 180 ინდივიდუალური მერხი, 190 სკამი, 13 სასკოლო დაფა, 1 პროექტორი, 1 ლეპტოპი და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ნასყიდობისა და ნაჩუქრობის დოკუმენტაციით; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგებით.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	კოლეჯის ეზოში განთავსებულია პატარა სპორტული მოედანი და ასევე ფარი ქუჩის კალათბურთისთვის, ხოლო კოლეჯის წინ 20 მეტრში მდებარეობს მუნიციპალური მინი სტადიონი, რომელიც მოეწყო კოლეჯთან არსებული სამოქალაქო განათლების კლუბის ინიციატივით და რომელსაც კოლეჯი ასევე იყენებს სპორტული გაკვეთილების ჩასატარებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობა. კაბინეტში მოწყობილია სველი წერტილი და გამწოვი. კოლეჯის ერთწლიან და ექვსწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ლაბორატორიის შევსება/განახლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ელექტროენერგია და წყალი მიეწოდება უწყვეტად. ხელშეკრულება გაფორმებულია ეპ.ჯორგიასთან და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან. ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში სკოლას აქვს 1 გენერატორი 2 კვტ სიმძლავრით. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლას როგორც შენობაში, ასევე გარეთ აქვს მოწესრიგებული სველი წერტილები. შენობაში არსებული სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირთათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გადახდის ქვითრები; • ეპ.ჯორგიასთან გაფორმებული ხელშეკრულება; • გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1340 წიგნადი ერთეული, მათ შორის 473 ქართული ლიტერატურა, 763 ფრანგული ლიტერატურა და სამეცნიერო ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ასევე პერიოდიკა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციით გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოები. არის ყველა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკას შემუშავებული აქვს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. აღრიცხული ყველა წიგნი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. გამოკრულია სარგებლობის წესები და მუშაობის განრიგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საინვენტარიზაციო წიგნი; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები. • შესყიდვისა და ნაჩუქრობის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მოწყობილი აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. პირველ სართულზე, კოლეჯის შესასვლელი არ საჭიროებს პანდუსს, ხოლო მეორე სართულზე ასასვლელად სკოლას აქვს მოძრავი პანდუსი. კომპიუტერული ლაბორატორიის შესასვლელში მოწყობილია ასევე მცირე ზომის პანდუსი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 1 ადაპტირებული სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ისტ-ის კაბინეტში განთავსებულია 9, სამასწავლებლოში 1 და ბიბლიოთეკაში ასევე 1 ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერი. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სილქნეტის კომპანიასთან. ხელშეკრულება გაფორმებულია ასევე შპს 'სერვისნეტთან" ჰოსტინგის და დომენის მიწოდებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებას ემსახურება ასევე: 2 პრინტერი, 1 ვიდეომაგნიტოფონი, 2 აუდიომაგნიტოფონი, 3 პიანინო, 1 ტელევიზორი, 1 პროექტორი. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ელექტრონული ფოსტა ecolepm@yahoo.fr, ecolepm@gmail.com და სკოლის ვებ გვერდი https://ecolepm.edu.ge., https://bit.ly/30y8Mul რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის შესახებ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასკოლო სასწავლო გეგმა, კოლეჯის თვითშეფასება, კოლეჯის შინაგანაწესი, ფოტოგალერეა, ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, კოლეჯში განხორციელებული პროექტები. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ასევე სკოლის ფეისბუქ გვერდი. დასკვნის სახით: სკოლა სრულფასოვნად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც დადასტურდა მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით,
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება შპს სილქნეტთან; • ხელშეკრულება შპს 'სერვისნეტთან"; • სკოლის ვებ გვერდი https://ecolepm.edu.ge; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმები და დებულება. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ქართულ-ფრანგული კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს სახანძრო უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების ტრენინგი. სკოლაში განთავსებულია 2 ახლად დამუხტული ცეცხლმაქრი. კოლეჯის სახურავი დამუშავებულია სპეციალური ხსნარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო მექანიზმები; • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • საევაკუაციო გეგმები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ოთახში არის პატარა მაცივარი, ონკანი, სამედიცინო ტახტი, კარადა, სასწორი და ასევე საკაცე. სკოლას ამ ეტაპზე ჰყავს ექთანი, თუმცა სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოადგინა ამონაწერი, რითაც დასტურდება, რომ გამოცხადებულია ვაკანსია ექიმის პოზიციაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • გამოცხადებული ვაკანსია ექიმის პოზიციაზე.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, სამინისტროსთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის კონტროლი ხორციელდება ვიდეოკამერებით. გარე პერიმეტრი კონტროლდება 4 კამერით, ხოლო შენობის შიდა ნაწილი 3 ვიდეოკამერით. კამერების გამოსახულება ხელმისაწვდომია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები; • შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე. მასში დეტალურადაა წარმოდგენილი შრომითი ურთიერთობის წარმოშობის პირობები, სამუშაო და დასვენების დრო, შვებულების მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, საბოლოო ანგარიშსწორების, წახალისებისა და დისციპლინარული გადაცდომების წარმოების წესები და სახეები. დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის, მოსწავლის უფლება-მოვალეობების, სწავლის შედეგების შეფასებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე კათედრების, ბიბლიოთეკის, მშობლებთან ურთიერთობების და სხვა დებულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ემსახურება სკოლის ეფექტურ მართვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • საგნობრივი კათედრების დებულება; • ბიბლიოთეკის დებულება; • მშობლებთან ურთიერთობების დებულება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ ფრანგული კოლეჯის“ მიერ შემუშავებულია 2020-2026 სასწავლო წლების სკოლის განვითარების გრძელვადიანი და 2021- 2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. გეგმები შემუშავებულია წინა წლების SWOT ანალიზის საფუძველზე, რომელზე დაყრდნობითაც გამოიკვეთა კონკრეტული ღონისძიებების გატარების საჭიროება სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის გათვალისწინებით. ექვსწლიან გეგმაში გათვალისწინებულია სკოლის გასაუმჯობესებელი მხარეები. გეგმა მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებს: პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა; კვალიფიციური კადრები და სწავლების თანამედროვე მეთოდები; მატერიალური ბაზა და ტექნოლოგიები. 2021- 2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს კანონს "ზოგადი განათლების შესახებ" და გამომდინარეობს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. გეგმებიდან გამომდინარე სკოლა აქტიურად გეგმავს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიებისა და თანამედროვე სწავლების სტრატეგიების/მიდგომების გამოყენებას. აღნიშნული მიზნით დაგეგმილია მატერიალური რესურსის განახლება. ასევე, სასწავლო პროგრამებში იგეგმება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება. გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისად ახალი ინვენტარის შეძენა, სასწავლო ოთახების გარემონტება, სპორტული დარბაზის აშენება-კეთილმოწყობა და ა.შ. იგეგმება ასევე სკოლის ახალი ნაგებობის მშენებლობა. გეგმებში ასახული შესასრულებელ ამოცანები სრულად მოიცავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხებს, შესრულების დროს და პასუხისმგებელ პირებს, თუმცა სამოქმედო გეგმაში არ არის ჩამოყალიბებული ძირითადი მიზნები, შესრულების ინდიკატორები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შემდეგი რჩევა - <u>შემუშავდეს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების ჩარჩო, რომლებშიც ასახული იქნება სკოლის გრძელვადიან მიზნები, ასევე ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაცია.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა; • სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • სკოლის SWOT- ანალიზი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან და რომლის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საერთო ბრძანებები; • საკადრო ბრძანებები; • ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი; • შემოსული და გასული ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სასურველია შემუშავდეს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების ჩარჩო, რომლებშიც ასახული იქნება სკოლის გრძელვადიანი მიზნები, ასევე ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაცია.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დამტკიცებული საშტატო განრიგისა და მართვის საინფორმაციო ბაზის მიხედვით სულ დასაქმებულია 35 ადამიანი. **დირექცია** - 3 საშტატო ერთეული: ერთი დირექტორი, ერთი დირექტორის მოადგილე, ერთი ბუღალტერი; **ადმინსტრაცია, ტექპერსონალი** - 9 საშტატო ერთეული: ერთი მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ერთი ბიბლიოთეკარი, ერთი ფსიქოლოგი, საქმისმწარმოებელი, სამი მძღოლი, ერთი დამლაგებელი და ერთი დარაჯი; 22 საგნობრივი მასწავლებელი და 2 მასწავლებლის ასისტენტი. 2021-2022 სასწავლო წელს სკოლას, ვაკანსიის შეუვსებლობის გამო, ჰყავდა ხუთი უსტატუსო მასწავლებელი, რომელთა ხელშეკრულებებს ვადა გაუვიდა 2022 წლის 30 ივნისს. აღნიშნულ პოზიციებიდან მხოლოდ მათემატიკის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადდა ვაკანსია, რადგან ერთი დარეგისტრირებულია მასწავლებლის გამოცდაზე (საგნის კომპეტენციის დადასტურების), ხოლო დანარჩენ სამ პოზიციაზე არსებული საათები გადანაწილდება შიდა კონკურსის წესით, რაც შეეხება ექიმს, სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის პოზიციაზე, ვაკანსიის შევსებამდე ექთანი ასრულებს დროებით მოვალეობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • განათლების მართვის სისტემა, Eschool-ბაზა; • თანამშრომელთა ხელშეკრულებები; • შინაგანაწესი; • დანართი: სკოლის ექიმის ვაკანსია; მათემატიკის მასწავლებლის ვაკანცია; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ თანამშრომლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	22
მოწვეული/მაძიებელი	
უსტატუსო მასწავლებლი	1
უფროსი მასწავლებლი	20
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებლების პირადი საქმეები და მათში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად დადასტურდა, რომ სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა და კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში დასაქმებულ 20 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი და ერთ მასწავლებელს წამყვანის სტატუსი. ერთი მასწავლებელი უსტატუსოა, თუმცა დარეგისტრირებულია საგნობრივ გამოცდაზე. მათ პირად საქმეებში განთავსებულია სკოლის საქმისწარმოების წესის თანახმად მოთხოვნილი დოკუმენტები და ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არიან ნასამართლევი და არ აქვთ ჩადენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. აღსანიშნავია, რომ ფრანგული ენის ერთ მასწავლებელს აქვს საფრანგეთის სახელმწიფოს საპატიო ჯილდო - აკადემიური პალმის ორდენი - განათლების სფეროში განსაკუთრებული დამსახურებისა და მსოფლიოში ფრანგული კულტურის აქტიური პოპულარიზაციისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა, თანამშრომელთა პირადი საქმეები;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შინაგანაწესში, რომელიც დამტკიცებულია შპს ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის დირექტორის მიერ და შეთანხმებულია ამავე სკოლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარესთან, განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისებისა და დისციპლინური წარმოების წესი. შინაგანაწესში წარმოდგენილი წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.. შინაგანაწესის მუხლი 10,11,12,13.14.15.16.17.18.19.20-მთლიანად ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს, სადაც დეტალურადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ფორმები და შესაბამისი რეაგირება-სახდელები ვადის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს ზოგად დებულებას, მხარეთა უფლება-მოვალეობას, სამუშაო დროს, შესვენების დროს, შესვენების მიცემის წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობას და ანაზღაურების წესს. მასში ასახულია მხარეთა პასუხისმგებლობისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. სკოლას 2022 წელს მარტში გაფორმებული აქვს მასწავლებლებთან ერთწლიანი/უვადო/ შრომითი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • პირადი საქმეები; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ თანამშრომლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დირექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის ბრძანებით N02/95 დამტკიცებულია შპს ზუგდიდის "პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგულ კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და სტრატეგია. დოკუმენტში აღწერილია პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები: კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ორგანიზება; ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის განხილვა. სკოლა წარმატებით ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაციის „Edu-links" ინიციატივაში - "მდგრადი კავშირების დამყარება განათლების საშუალებით" პროექტის მიზანია: ურთიერთგაგების, ნდობისა და ემპათიის შექმნით ხელი შეუწყოს შერიგებასა და სამშვიდობო პროცესს გალელ, ოჩამჩირელ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მასწავლებლებს შორის. ხელი შეუწყოს მექანიზმების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლების ხარისხის მონაწილეობით განვითარებას საოკუპაციო ზოლის გადაღმა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სკოლის მასწავლებლებს ჩაუტარდათ რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ განათლების ექსპერტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს "ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის" ადამიანური რესურსის მართვის მექანიზმები; • სკოლის ვერბგვერდი.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ნებისმიერი ინიციატივა ხელშეწყობილია სკოლის დირექციისგან. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის თანამშრომლობითი ატმოსფეროს შესაქმნელად. სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება, შექმნილია თანამშრომლობითი გარემო როგორც თანამშრომლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის, სკოლის პერსონალის და მშობლებისთვის, რაც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობის რეალიზებას. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და სისტემატიურად და მოსახერხებელი ფორმით ეძლევათ ინფორმაცია მათი შვილებისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. მშობლები ერთხმად აღნიშნავენ კმაყოფილებას სკოლის მიერ შექმნილი გარემოს მიმართ. სკოლაში ტარდება კლასგარეშე ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტოლერანტ, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას, რაც მათ გასაუბრების დროს დაგვიდასტურეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ სკოლის მოსწავლეებთან; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან; • ინტერვიუ სკოლის მშობლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის ვებგვერდი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი, 03.08.2022

გვერდების რაოდენობა -49

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.